



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

07 ივნისი 2024



N 290/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის II დანართის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს, ქ. თბილისში, შპს „ნოვა ფიქსის“ პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N33;
2. შპს „ნოვა ფიქსი“ ვალდებულია გზმ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N33 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნოვა ფიქსს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნოვა ფიქსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ნაძალადევის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

